ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 ივნისის N23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი: დადგენილების პროექტის მიღება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ რომ 2015 წლის 25 ივნისს შემოვიდა წერილი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურიდან, რაც ითვალისწინებს სამართლებრივ შენიშვნებს, რომლის მიხედვითაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 ივნისის N23 დადგენილება არ შეესაბამება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16მუხლის მე-3 ნაწილის,107 მუხლის მე-3 ნაწილის, ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 311 მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი და მეორე მუხლების, 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 177-ე და 179-ე მუხლების და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნებს.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანი: დადგენილების პროექტის მიღების მიზანია აღნიშნული დადგენილების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი: დადგენილების პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 ივნისის N23 დადგენილება.

ბ)დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: დადგენილების პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებითი ხარჯებით დაფინანსებასთან.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე: დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ)დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე: დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) მუნიციპალიტეტის ახალი ფინანსური ვალდებულებები: დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს მუნიციპალიტეტის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

გ)დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) დადგენილების პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან: დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან: დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან: დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში: აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო , არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციას/დაწესებულებას, ექსპერტებს.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების

კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ჩხიკვაძე

ვ) დადგენილების პროექტის ავტორები:

პროექტის ავტორია მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების

კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ჩხიკვაძე

ე) სხდომაზე მომხსენებელი:

სხდომაზე მომხსენებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ჩხიკვაძე

ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების

კომისიის თავმჯდომარე: მალხაზ ჩხიკვაძე

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2015 წლის ----------

დ. ჩოხატაური

,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 ივნისის N23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1.დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 ივნისის N23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 ივნისის N23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1062 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3.განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: თამარ ახალაძე

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება ----------

2015 წლის ----------

დ. ჩოხატაური

,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 ივნისის N23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 ივნისის N23 დადგენილება (www.matsne.gov.ge 01/07/2015, სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.114.016265)

მუხლი 2 დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტის ავტორი: **მალხაზ ჩხიკვაძე**

დასკვნა

,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 ივნისის N23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 ივნისის N23 დადგენილება არ შეესაბამება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით, ამავე კანონის 107-მუხლის მე-3 ნაწილს, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტს მის ტერიტორიაზე არსებულ დაურეგისტრირებელ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება წარმოეშობა შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოსთვის დადგენილი წესით მიმართვისა და რეგისტრაციის საფუძველზე, რაც სახელმწიფოს არ ართმევს უფლებას, სახელმწიფო საკუთრებად დაარეგისტრიროს დაურეგისტრირებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ასევე „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 311 მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის მიხედვითაც საჯარო რეესტრის წარმოებისა და ხელმისაწვდომობის წესები და პირობები განისაზღვრება კანონით. გამომდინარე აქედან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების უფლებამოსილება წარმოადგენს ხელისუფლების სხვა ორგანოს, პარლამენტის უფლებამოსილებას და მას ვერ განახორციელებს მუნიციპალიტეტი. კანონით დადგენილია, რომ უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის გათვალისწინებით საკრებულოს დადგენილება უნდა შეესაბამებოდეს მასზე უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტებს. ამასთან, არსებობს საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ" რომლითაც განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესი. დადგენილება ასევე შეუსაბამოა „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტთან, რომლის თანახმადაც თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში მითითებული უნდა იყოს, რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (გამოცემული) იგი. აქედან გამონდინარე, დაუშვებელია საკრებულომ მიიღოს დადგენილება იმ საკითხზე, რომლის მიღების უფლებამოსილება მას არ გააჩნია, ანუ საკრებულომ დადგენილება უნდა მიიღოს მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით, ამ შემთხვევაში არ არსებოს საკანონმდებლო ნორმა, რომელიც მუნიციპალიტეტს მიანიჭებდა საფუძველს მიეღო ზემოაღნიშნული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი.

შესაბამისად, ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 ივნისის N23 დადგენილება ექვემდებარება კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას, კერძოდ, ძალადაკარგულად გამოცხადებას.

ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძვლებია: „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-9 პუნქტი, რომლის შესაბამისად თუ ნორმატიული აქტი მიღებულია (გამოცემულია) საკითხზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს კანონის თანახმად განეკუთვნება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოს (თანამდებობის პირის) უფლებამოსილებას ან მიღებულია ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ან დარღვეულია შესაბამისი

ნორმატიული აქტის მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისათვის დადგენილი პროცედურა, ნორმატიულ აქტს იურიდიული ძალა არა აქვს და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადეგნილება.

წამყვანი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა

და ექსპერტიზის საკითხებში : მარიტა მგალობლიშვილი